№ 4-21/დ1007-24
"10" 06 2024 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე დადგენილება
№შ-271/23-2
(მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების
ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე)

10.06.2024წ. ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქ.№7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზურაბ მამსიკაშვილმა განვიხილე, **შ.პ.ს „ზუ-თომ"-ის** (ს/ნ №406277728; მის.: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, კაიროს ქუჩა №22, სექტრანსმშენი) მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2023 წლის 5 სექტემბერს მიღებული №4-1/დ1554-23 №შ-271/23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2023 წლის 5 სექტემბერს მიღებული №4-1/დ1554-23 №შ-271/23 დადგენილებით, შეჩერებულ იქნა, ქ. თბილისში, დიდი ლილო, სოფელი დიდი ლილო, №81.08.16.975 საკადასტრო კოდზე უნებართვოდ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, დარღვევის გამოსწორებამდე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 11 ოქტომბრის №4-1/დ1795-23 №002671 დადგენილებით „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ", **შ.პ.ს „ზუ-თომ"-ის** მიმართ შეწყვეტილ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ვინაიდან შესრულებულ იქნა მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 7 სექტემბრის №002671 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, დემონტირებულ იქნა ქ. თბილისში, დიდი ლილო, სოფელი დიდი ლილო, №81.08.16.975 უნებართვოდ მოწყობილი ბეტონის ფილა და ლითონის კონსტრუქციის ნაგებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქმის გარემოებების სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად დასტურდება, რომ აღმოფხვრილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 127-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული მშენებლობის შეჩერების საფუძვლები (მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს მიმდინარე მშენებლობა, თუ ეს არის უნებართვო მშენებლობა ან ის სანებართვო პირობების დარღვევით მიმდინარეობს და მისი გამოსწორება შეუძლებელია

მშენებლობის შეჩერების გარეშე), ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს".

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით,

დავადგინე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, **შ.პ.ს „ზუ-თომ"-ის** მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2023 წლის 5 სექტემბრის №4-1/დ1554-23 №შ-271/23 დადგენილება;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **ზურაბ მამსიკაშვილი**

20 06 24